წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.

**განცხადება:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ... სტრიქონი პეტიტით ლირს 15 ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ლირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მ.ნ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ძნ. მიქელაძის სახლებში.

№ 468 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 468

## ქალაქის თეატრი

ხუთშაბათს, 27 და პარასკევს, 28 ოქტომბერს გაიმართება პირველად ქუთაისში ცნობილი

### დიდი საჯარო ქართული სიტყვა-მუსიკოზა

### კ. ფოცხვერაშვილისა

**სიტყვის თემა:** „ქართული ხალხური სიმღერა-გალობა და მისი ჰარმონია—კონტრაპუნქტი“.

**სამუსიკო განყოფილებაში:** საუკეთესო მომღერალ-დამკვრელთაგან შესრულებული იქნება მრავალი ახალი ქართული სიმღერა-ჰიმნ-საგალობელნი.

გარჩეული იქნება თემატიურად და შესრულდება როიალზე პირველი ქართული **სიმფონიური პოემა „თ ქ მ უ ლ ე ბ ა ა მ ი რ ა ნ ზ ე“ კ. ფოცხვერაშვილისა.**

**ცალკე აფიშები არ გამოვა.**

თვითონ ფოცხვერაშვილი საილუსტრაციო ნიმუშთა შორის შეასრულებს სიმღერით და დაკვრით თორმეტ სხვადასხვა ერთა კილოებს; იტყვის ქართულ ხმებს; **„ჩონგურულს“**, **„მესტვირულს“**, **„ლილეს“**, **„ვეფხის ტყაოსნის შაირს“** და წაიკითხავს (გალობით) ქართულ სახარებას.

ბილეთები იყიდება მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზებში.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

შაბათს 22 ოქტომბერს გარდაიცვალა

### კნეინა ხოფიო დადიანის ასული

### ა ფ ა ქ ი ძ ი ს ა

რასაც მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს ქმარი განსვენებულისა თავ. ანტონ ტოტოს ძე აფაქიძე და ძმები ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ნიკოლოზი და ლევან კონსტანტინეს ძენი დადიანები. დაკრძალვა მოხდება 29 ამა ოქტომბერს დილით შაბათს სოფ. ზანას (ზუგდ. მაზრა) თავად აფაქიძეთა საგვარეულო ეკლესიის გალავანში.

## გაზ. „სამშობლოს“ კანტორა

**აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ,** რომ ვისაც ამ წლის ბოლომდე სრულიათ არა აქვს ხვედრი ფული შემოტანილი 1 ნოემბრიდან აუცილებლათ შეუწყდებათ გაზეთის გზავნა.

## განცხადება.

**1 ოქტომბრიდან გაიხსნა** ჭრა-კერვის კურსები **კატო ალიხანაშვილისა.**

კურსი არის ერთ წლიანი, მოსწავლე ქალები ერთი წლის შემდეგ მიიღებენ შესაფერ ატესტატს სახელმწიფო უფლებით. მსურველთ შეუძლიათ პირობების გაგება და ჩაწერვა დადიანის ქუჩაზე, პატარიძის სახლში ალიხანაშვილთან.

**ექიმი** **ი. ჩარექიშვილი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 სათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი: ლვოვშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ზოკიძე** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმმა** **ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე ჰუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჭილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

### მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ერთ ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, პ. კოსტავას სახლები. № 37

304—1—თვით.

**დოქტორი მედიცინისა**

### დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

ლებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—4 დღ. გამ.

### დავკარგე პასპორტი

უვადო სოფელ ტეიბულში

**სპირიდონ მარკოზის ძე გოგოლი შვილის სახელზე**

მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს სოფელ ტყიბულში **მიხეილ კბილაძის** სახელზე რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

### ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან 24 ოქტომბრიდან 1916 წ. ნამდვილი შედევრი

ა დ ა მ ი ა ნ თ ა უ ფ ს კ რ უ ლ ი

დრამა 5 ნაწილად საიმპერატორო თეატრის მსახიობთა ვ. ა. პოლონსკის, ა. ი. შელენიიკოვის და სხვათა მონაწილეობით. დადგმულია ბაუერის მიერ.

ც ხ ო ვ ე ლ თ ა ს ა მ ე ფ ო

**ა ნ ო ნ ს ი** 27 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა ქრონიკა ჟურნალი მიმდინარე ამბებიდან

**სხვისი ცოდვებისათვის** ძლიერი დრამა 4 ნაწილად ეპილოგით მსახიობ ქალის თინა ფავპრის მონაწ.

დ ა ა წ ყ ე ნ ა რ ე ს დ ე დ ა მ თ ი ლ ი

კომიკური.

### ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან 24 ოქტომბრიდან 1916 წ. დიდებული სურათი რუსთა ცხოვრებიდან 2 ნაწილათ

პირველი სერია

ქ ო რ ი ს ბ უ დ ე

დიდათ საინტერესო დრამა 4 ნაწილათ **ა. პ. პაზუხინის** ცნობილ რომანიდან ცნობილ მსახიობთა ლისენკოს, კარემანოვის, რიმსკის, პანოვის და სხვათა მონაწილეობით

მიმიკრია მწერთა შორის

**ა ნ ო ნ ს ი:** 27 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა ქრონიკა ჟურნალი მიმდინარე ამბებიდან

ქ ე ბ ა ს ი გ ი ჟ ე ს კინო დრამა 5 ნაწილად ცნობილ არტისტების მარიამ რუტცის და ნ. წერეთლის მონაწილეობით

### საჭირონი ხელოსნები

სახელდობრ: ხარაზები, მჭედლები, დურგლები, მეუნაგრენი, თერძები და სხვა ასეთნი იმ სახელოსნოებისათვის, რომელთაც აწყობს

### კავკასიის ფრონტზე

### მოსკოვის ოლქის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი.

სამსახურში მიიღებიან ვინც ჯერ კიდევ ჯარში არ გაუწვევიათ; ჩასაწერად და ყოველგვარი ცნობების გასაცნობად მსურველს შეუძლია მიმართოს მეგობრის რედაქციაში და სახელოსნო ბანკში. აგრეთვე მიმართვა შეიძლება თბილისში **მთავარ რწმუნებულის კანცელარიაში** (სასახლის ქუჩა, № 5, თავად-აზნაურობის ქარვასლაში.

## მსოფლიო ომი.

### დ ე პ ე შ ე ბ ი

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.**

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 24 ოქტომბერი. სოფ. ლიპიცადოლნაიას აღმოსავლეთით და სოფ. სლავენტინის დასავლეთით მოწინააღმდეგემ რამდენიმე სიმაღლეების ხელში ჩასაგდებათ ზედიზედ იერიშები მოიტანა, მაგრამ ყველა იერიშები, თოფისა და ზარბაზნების სროლით მოვიგერიეთ; ბრძოლა გრძელდება. ტყიან კარპატებში გორიეს სამხრეთით 10 ვერსტის მანძილზე 5781 სიმაღლის მიდამოებში, მოწინააღმდეგემ ჩვენ ჯარს სამჯერ შემოუტია; განმეორებით იერიშები უშედეგო გამოდგა; მტერი სამჯერვე სროლით უკუვაქციეთ. კირლიბაბას მიდამოებში მტერმა ერთ ჩვენ ახალგაზრდათა პოლკს შემოუტია, იერიში მოგერიებულ იქნა. შემდეგ ორჯერ კიდევ მოიტანეს იერიში; უკანასკნელ იერიშის დროს მტერი ჩვენ სანგრებში შემოიჭრა და 1 ტყვის მფრქვეველი ხელთ იგდო; ჩვენ კონტრიერიში მოვიტანეთ, მტერი სანგრებიდან განვდევნეთ და ტყვის მფრქვეველიც წავართვით. ლა მუნტელუს მიდამოებში ჩვენ ავიღეთ მთელი რიგი სიმაგრეებისა, ამასთანავე დავატყვევეთ 8 აფიცერი და 386 ჯარის კაცი, ხელთ ვიგდეთ 6 ტყვის მფრქვეველი 62 ყუმბარებით სავსე ყუთი და 18 ტყვის მფრქვეველის ლენტა.

**კავკასიის ასპარეზი.**

ოგნოტის სამხრეთით დასავლეთით ოსმალებმა მეორედ შემოგვიტიეს, მაგრამ ისინი ჩვენ სროლით შევაჩერეთ.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 23 ოქტომბერი. საღამოს ოფ. ცნობა. სომის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა მოახდინა რამდენიმე მარჯვე შეტევა დღის განმავლობაში წავიწიეთ წინ რამდენიმე პუნქტებში. ტრანსლუას სამხრეთით ტყის რენპიერვასიის სამხრეთ ნაწილამდის ჩვენ წინ წავიწიეთ რამდენიმე ასი მეტრით. ტრანსლუას მიმართულებით საისაიოზელის აღმოსავლეთით ჩვენ ავიღეთ ერთი სანგარი დავიპყრეთ უმეტესი ნაწილი სოფელ საიზელისა. ამ სოფლის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა შეუტია რა ტყის სანპიერკაასტის სამი მხრით, რომელიც მოწინააღმდეგის მიერ გამაგრებული იყო, შესაჩნევათ წინ წაიწიეს და აიღეს თანდათან სამი სანგარი, რომლებიც იცავდა ამ ტყის ჩრდილოეთის ნაპირს. ბრძოლა მეტის მეტი ცხოველი იყო მთელ ფრონტის ნაწილებში. გერმანელების კონტრიერიშები უკუვაქციეთ ყუმბარების და ხიშტების ცემით. ამ მოქმედების დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ 522 ტყვე. მათ რიცხვში 15 აფიცერი. მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. დიუომონის რაიონში დავიპყრეთ მთელი სოფელი. დანარჩენ ფრონტებში დღემ შედარებით წყნარათ ჩაიარა.

**ჰავრი.** 22 ოქტ. ბელგიის ოფ. ცნობა. დღემ წყნარად ჩაიარა. ფრონტის ზოგიერთ ნაწილში ორივე მხარე ანვითარებდა საარტილერიო ცეცხლს ბუსინგის რაიონში.

**ლონდონი.** 24 ოქტომბერი. ბრიტანიის ოფიც. ცნობა. დღეს ზოგიერთ ჩვენი ფრონტის პუნქტებში, ჩვენ მოვახდინეთ რამდენიმე იერიში, ცოტათი წინ წავიწიეთ და წამოვიყვანეთ ტყვეები. მარჯვენა ფლანგზე ჩვენ ტყვის მფრქვეველებით მოვსპეთ გერმანელების ბუდე. ფრონტის ცენტრში ჩვენ 1000 იარდზე მეტი წინ წავიწიეთ და ხელთ ჩავიგდეთ მაღლობი ვარლანკურს ბორცვის ახლოს. ამინდი ძლიერ ცუდია და ხელს უშლის მოქმედებას.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** 24 ოქტომბერი. იზიაგოზე ვეკარსესა, მონტენაკისა და უპიეს მიდამოებში მტერი არტილერიის ძლიერ ცეცხლს ანვითარებდა. ტრავინიოლოს ველზე, რამოდენიმე სადემონსტრაციო მოქმედების შემდეგ მონტე კოლბსკზე, მთის კალთებზე და ობსერვატორიის სიმაგრეებზე მტერმა რამოდენჯერმე ზედიზედ იერიშები მოიტანა; ყველა იერიშები

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** სოფ. ლიპიცა დოლნაიას აღმოსავლეთით გერმანელებმა რუსებს შემოუტიეს, მაგრამ რუსებმა თავისი პოზიციები შეინარჩუნეს; აქ ბრძოლა ჯერ არ გათავებულა. ტყიან კარპატებში გორიეს სამხრეთით და „5781"-ის სიმაღლესთან ავსტრიელებმა რუსებს სამჯერ ზედიზედ შემოუტიეს, მაგრამ რუსებმა გაუძლეს. კირლიბაბასთან რუსის ერთ პოლკს ავსტრიელებმა სამჯერ შეუტიეს, ბოლოს რუსების ერთ სანგარში შეიჭრნენ, მაგრამ მალე იქიდგან განდევნილ იქნენ. ლიმუნტელუს მთასთან რუსებმა რამდენიმე სიმაღლე დაიპყრეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ოგნოტიან რუსებმა ოსმალთა შეტევა სროლით შეაჩერეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** ინგლისელებმა თავის ბრძოლის პირზე გერმანელებს რამდენიმე ალაგას შეუტიეს, ცენტრში 1000 იარდით წინ წაიწიეს. საერთოდ დღის განმავლობაში ფრანგებმა და ინგლისელებმა ბევრ ალაგას წინ წაიწიეს. ლებევე—საისაინზელემის ბრძოლის ხაზი ფრანგებს რამდენიმე ასი ადლით წინ წაუწევიათ. ფრანგებმა მოიგერიეს გერმანელთა რამდენიმე ძლიერი და მედგარი კონტრიერიში. ვერდენთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს, ფრანგებმა სოფ. ვო ერთიან დაიპყრეს.

**იტალიის ასპარეზი.** ზოგ ალაგას საარტილერიო ბრძოლაა, ზოგ ალაგს კი მცირე ბრძოლები სწარმოებს.

**რუმინიის ასპარეზი.** ტრანსილვანიაში პრედეალის მიმართულებით რუმინელებმა ძლიერი ბრძოლის შემდეგ უკან დაიხიეს მდ. ტირგულუის ველზე რუმინელებმა ავსტრიელები დროზედ შეაჩერეს. მდ. ჟიუს ველზე რუმინელებმა ავსტრიელებს კვლავ უკან დაახევინეს.

**მაკედონიის ასპარეზი.** საერთოდ მდგომარეობა უცვლელია.

მტრისათვის დიდი ზარალით მოვიგერიეთ. ჩვენმა ჯარმა კონტრიერიშით მტერი ერთიან გაფანტა და დაატოვებინა მრავალი მოკლული და დაჭრილი. მათ შორის 4 ოფიცერი. გორიცის აღმოსავლეთით და კარსოზე მიუხედავად მტრის ზარბაზნების სროლისა ჩვენმა ჯარმა თავის პოზიციები გაამაგრა, ხოლო სენტასთან წინაც წაიწია. აქ ჩვენ დავატყვევეთ 200 კაცი და დაჭრილთა უმეტესი ნაწილი.

**რუმინიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 24 ოქტომბერი. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან. ტრანსილვანიაში, პრედეალის მიმართულებით დიდი და მედგარი ბრძოლების შემდეგ რუმინელები იძულებულნი გახდნენ სამხრეთით უკან დაეხიათ. მდ. ტირგულუის ველზე ლირეშტის მიდამოებში მტერმა მოქმედება სცადა, მაგრამ ჩვენ უმალ ჩავაჩუმეთ. მდ. ჟიუს ველზე რუმინელები კვლავ ავიწროვებენ მტერს ჩრდილოეთისაკენ. მდ. დუნაის ბრძოლის პირი. მოწინავე და ცხენოსან რაზმების შეტაკებანი ჩვენ სასარგებლოდ დამთავრდა.

**მაკედონიის ასპარეზი.**

**კორფუ.** 23 ოქტომბერი. ოფიციალური ცნობა სერბეთის მთავარი ბანაკისა. 21 ოქტომბერს ხდებოდა ზოგ ალაგას არტილერიითა და თოფით სროლა. ამას გარდა არსებითი არაფერი მომხდარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„დენ" ი გვარწმუნებს, რომ სოლუნში მიმავალი საბერძნეთის გემი „ანგელიკა" რომლითაც 300 ბერძენი მოხალისე მეომრები მიდიოდენ გერმანიის წყალქვეშა ნავმა ააფეთქა.

—

ამავე გაზეთის სიტყვით პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსთვის კორესპოდენტს უცნობებია, რომ „ანგელიკა" დაღუპულა პირეიდან ორი საათის სავალზე, შიდ მსხდარა ასი მგზავრი და ოთხასი ბოლგართა წინაამდეგი მეომარ მოხალისენი. ამის გამო ათინა ძლიერ აღელვებულა და ხალხს გერმანიის წინააღმდეგ დემონსტრაციის მოხდენა სურვებია, მაგრამ პოლიცია ალუკრძალავს.

—

გაზ. „დენ"-ი გადმოგვცემს შეთანხმების სახელმწიფოთა გემორანდუმზე გერმანიის წყალქვეშა ნავების თარეშის შესახებ ამერიკის პასუხს.

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობა აცხადებს რომ მას წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ რაიმე დაპირება ვერ იკისრებს. იგი ეცდება რომ ნეიტრალიტეტს არ გადუხვიოს და საერთაშორისო ვაჭრობას და ალებ-მიცემობა არ დააბრკოლოს. შტატების მართებლობა დასძენს, რომ მომხდარ უბედურობებში პასუხის მგებელი ის სახელმწიფო უნდა იყოს, რომლის წყალქვეშა ნავიც ვერ არჩევს მეომარი მხარის ხომალდებს ნეიტრალურ სახელმწიფოთა ხომალდებისაგანო.

—

„მორნიგ პოსტი" გვატყობინებს, რომ ფალკენჰაინის და მაკენზენის ოპერაციებს ადგილობრივ პურის ფქვილის შეგროვებას მიზანი აქვსო.

—

„რუსკია ვედმოსტის" სიტყვით დობრუჯიდან დიდძალი გამოქცეული რუმინელები ჩამოდიან. რუმინეთის კონსულს გაჭირვებულთა დამხმარე საზოგადოება შეუდგენია და ფულს აგროვებს. ბესარაბიის მემამულეებს კონსულისთვის შეუტყობინებიათ, რომ ისეთი გადმოხვეწილ რუმინელებს სიამოვნებით დაუთმობენ ალაგს.

—

„რუსკოე სლოვოს" პარიზიდან ატყობინებენ. რომ სტრუმის მარცხენა მხარეზე ინგლისელებმა ბოლგარელები ძლიერ დააზარალესო.

## სამხედრო მიმოხილვა.

დასავლეთის ასპარეზზე მოკავშირეები აქტიურ მოქმედებას განაგრძობენ. გუშინდელი დეპეშები გვატყობინებენ, რომ ფრანგებსა და ინგლისელებს ერთი დღის განმავლობაში რამდენიმე ალაგას გაუწევიათ წინ და ზოგ ალაგას კი მარჯვედ უმოქმედნიათ.

ფრანგები შეტევას განუწყვეტლივ აწარმოებენ. თუმცა არის ხოლმე დრო, როდესაც რამდენიმე დღის და ხან კი კვირისაც განმავლობაში ფრანგ-ინგლისელები შეჩერდებიან ხოლმე და ისვენებენ; მაგრამ ისევ მალე ამოქმედდებიან და უტევენ ხოლმე გერმანელებს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ შეტევით მოკავშირეებს სწადიათ დასავლეთის ასპარეზზე ადგილობრივ დააკაონ გერმანელთა ძალები და მოწინააღმდეგის საშუალება—ჯარების აღმოსავლეთისაკენ გადაყვანის საშუალება წაართვან.

იმ დროს როდესაც გერმანელებმა თავის მოკავშირეებითურთ ბალკანეთზე და გალიციაში დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი და ფრიად საყურადღებო და უმნიშვნელოვანესს ბრძოლას აწარმოებენ,—ფრანგებმა ინგლისელების დახმარებით მათ ზურგიდან შეუტიეს და უნდოდათ ერთობ მალე მოეხდინათ გავლენა გერმანელთა ჯარების გადაჯგუფებაზე; მაგრამ როგორც ვიცით უცბად ეს ვერ მოახერხეს და ამიტომ გადასწყვიტეს მოკავშირეებმა დასავლეთის ასპარეზზე თავის მოქმედებას მეთოდიური ხასიათი მისცენ და ასეც იქცევიან.

დასავლეთის ასპარეზზე მოკავშირეთა მოქმედებიდან სომმაზე პირველი შეტევის შემდეგ აღსანიშნავია: სომმაზევე კომბლის აღება და ვერდენის ყოფილ კარიბჭეთა დუომონ-ვო-დანლუს უკან დაბრუნება.

ამ წარმატებათა დაფასება სავსებით ჯერჯერობით მაინც შეუძლებელია, ვინაიდგან არ ვიცით რამდენად დაზარალდნენ აქ მებრძოლი მხარეები.

თავის თავად კომბლსა და ვერდენის მოწინავე ფორტების აღებას თავის თავად მაინც და მაინც არა აქვს დიდი მნიშვნელობა.

კომბლის აღებას მაშინ ექნებოდა, მნიშვნელობა თუ სომმას პოზიციების 2 დანარჩენ ფრიად მნიშვნელოვან პუნქტებს, ბაპომსა ტ პერანსაც ხელთ იგდებდნენ მოკავშირეები ვინაიდგან მაშინ მთელი მდ. სომმას შუა მიმდინარეობა თავის [illegible]ბრივ პოზიციებითურთ მოკავშირეთა ხელში გადავიდოდა.

რაც შეეხება მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ფორტებს უკანასკნელებმა როგორც ასეთებმა მნიშვნელობა დაკარგეს მას აქეთ, რაც ისინი სრულიად დაანგრიეს გერმანელებმა და ამ ყოფილ ფორტების დაპყრობა ნიშნავს მხოლოდ ადგილის შემატებას და მეტს არაფერს; დუმონი ვო და დანლუ კარგა ხანია სიმაგრეებს აღარ წრმოადგენენ.

ამნაირად, ჯერჯერობით დასავლეთის ასპარეზზე მოქმედებით მოკავშირეებმა გერმანელებს ბალკანეთის ოპერაციის წარმოებაში ხელი ვერ შეუშალეს და გერმანელები თითქოს დაუბრკოლებლივ მოქმედებენ გალიციაში და რუმინიის საზღვრებზე.

შვერედ.

## ახალი ამბავი.

**ებრაელ მარდახ ელიგულაშვილის ანდერძი** ამ დღეებში აქ გარდაიცვალა მოხუცი ებრაელი მარდახ ისხაკის ძე ელიგულაშვილი. იგი იყო ვაჭარი, მაგრამ საზოგადო საქმეებიც უყვარდა, და მზათ იყო მისი სამსახურისათვის სიკვდილის წინ მან ანდერძით დაუტოვა: 1) ებრაელთა ორივე სალოცავთ 200 მანეთი, 2) იერუსალიმის საქველმოქმედო ებრაელთა საზოგადოებას 500 მ. 3) ებრაელთა ქუთათურ შკოლებს 200 მ., 4) ქუთაისში მცხოვრებ ღარიბ ებრაელებს 240 მ., 5) ქვრივ-ობლებს განურჩევლად ეროვნებისა 300 მ., 6) ქუთაისის კომერციულ სასწავლებელს 100 მ., 7) სასაფლაოს გასამშვენიერებლად 100 მ., 8) ომში წასულ სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახებს 50 მ. 9) წერა-კითხვის საზ. ქუთათურ განყოფილებას 50 მ., 10) გაზეთ „სამშობლოს" გამოსაწერად ღარიბ ებრაელთათვის 50 მ, და 11) ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას 25 მ,

✦ გ. ფოცხვერაშვილის სიტყვა მუსიკობაში ხვალ 27 ოქტომბერს, სალიუსტრაციო ნიმუშთა შორის ქართულ ხმების გარდა გაირჩევა დ შესრულდება შემდეგი კილოები: თონვა-თაბორული, კარაიბული, ესკიმასური, ჰოვეისური, ეთიოპური, ზანგური, პაპუასური, კაცის მჭამელთა სიმღერები და სხვა. ჩვეულებრივი კონტრამარკები თეატრში შესასვლელად არ გამოდგება. პრესის წარმომადგენლებს დათმობილი აქვთ განსაკუთრებული რიგი. მოწაფეების ბილეთები ამ დღისათვის არ გაიყიდება, რადგან ყველა ამგვარი ადგილები დაკავებულია ადგილობრივ სასწავლებელთა მომღერალ გუნდების მიერ.

✦ ამ ჟამად ქალაქში პურის ნაკლებობაა, ქალაქის გამგეობის ცნობით პურის ფქვილის მიღების იმედიც არ არის ჯერჯერობით არსაიდან, ამის გამო ადგილობრივი მეპურეების თავგასულობას საზღვარი არა აქვს, პურს ერთობ ცუდად აცხობენ, ამავე დროს მათ უფლება ჰქონიათ ფქვილი აურიონ ერთმანეთში და ამ უფლებით გადაჭარბებულად სარგებლობს ბევრი მათგანი, პურს ასაღებენ პირველ ხარისხიანათ იმფერს, რომელიც მეორე ხარისხისაც არ არის. აგრეთვე ზოგიერთი ცომსაც ჰყიდის და სხვა. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

✦ ქუთაისის საგუბერნიო საერობო აგრონომებს თ. ვ. ფალავანდიშვილს, გე დევანიშვილს, პანასევიჩს, პერმანს და ვ. კანდელაკს, 24 ოქტომბერს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისაგან მოუვიდა წინადადება, რომ ხსენებული საზოგადოება 21 და 22 ნოემბერს თბილისში მართავს თათბირს, სამეურნეო საკითხების გასარკვევად. საზოგადოება სთხოვს აგრანომებს, ამ დროისთვის მიაწოდოს მათ ქუთაისის გუბერნიიდან საჭირო და სწორი ცნობები, შესახებ იმისა, თუ რა მდგომარეობაშია მცხოვრებთა გამოკვების საკითხი ქუთაისის გუბერნიაში.

✦ დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომმა ალ. ვასილევსკიმ მიიღო სოხუმის ოლქის საერობო აგრანომისაგან ცნობა, რომ აბზიუნის საზოგადოებამ (აფხაზეთი) დაადგინა ახლო მომავალში აფხაზეთში დაარსონ სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად პრაქტიკული სამეურნეო სასწავლებელი. აფხაზებს ეს დადგენილება, აგრონომების მიერ მიღებულ

## მსოფლიოს ერთობა.

**არაორგანიული ბუნების ერთობა**

საფრანგეთის დიდმა ფილოსოფოსმა ოგიუსტ კონტმა, რომელიც პოზიტივიზმის მამამთავრად ითვლება, პირველმა დაადგინა მეცნიერებათა კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად სიმარტივე ან სირთულე დაუდვა. ის მეცნიერებანი, რომელნიც უფრო მარტივ მოვლენათ იძიებენ, დაბალ საფეხურზე დააყენა, ის მეცნიერებანი კი, რომელნიც უფრო რთულ მოვლენათ იძიებენ, უფრო მაღალ საფეხურზე.

მეორე მხრით, მეცნიერებათა კავშირი ამ სახით წარმოიდგინა: თვითეული მეცნიერება ემყარება მასზე უფრო დაბალი საფეხურის მეცნიერებას და იმავე დროს შეიცავს ისეთს ზედმეტს, რომელსაც წინამორბედი მეცნიერება არ გარეშეიცავს, არ იძიებს.

ამგვარად კონტმა სხვადასხვა მეცნიერებას შორის გაუვალი შუაზღუდეები აღმართა და მეცნიერებანი ერთმანეთისაგან დააშორა. ეს ნაკლი გაასწორა ინგლისის ფილოსოფოსმა სპენსერმა. მან გაარღვია ხსენებული შუაზღუდეები, დაუახლოვა მეცნიერებანი ერთმანეთს და პროგრესის ისეთი თეორია შექმნა, რომელსაც ერთგვარად გამოჰყავს მარტივი და რთული მოვლენები პირველყოფილი ქაოსიდან, ანუ ნუველოზიდან, დაწყებული უმაღლეს, განვითარებულს, ცოცხალ ორგანიზმამდის.

და თანამედროვე მეცნიერება მის აზრს. უფროდაუფრო ამოწმებს.

მაგალითად, მას შემდეგ, რაც რადის სხივები გამოიძიეს, დაინგრა კედელი ქიმიას და ფიზიკას შორის.

რადი — მლაშე მიწური ლითონების გვარს ეკუთნის (მაგნის, კალცის, რომელიც კირში შედის, სტრონცის, ბარის) და მისი ატომის წონა (წყალბადის წონასთან შედარებით) 226,5-ს უდრის. მისი ქლორის ან ბრომის შედგენილობანი სითბოსა და ერთგვარ სხივებს წარმოშობენ. მაგალითად, ცინკის გოგირდი და ალმასი ამ სხივების ზემოქმედებით ანათებენ. ხსენებულ მარილებს შეუძლიათ დასწვან კანი. და ამ ელემენტის ერთი გრამი (მისხლის მეოთხედი) წარმოშობს 100 კალორია სითბოს ერთს საათში (კალორია ეწოდება იმ სითბოს, რომელსაც შეუძლია წყლის ერთი გრამის ტემპერატურა (სიმხურვალე) ერთი გრადუსით აამაღლოს). და ერთს გრამ რადის იმდენი სითბო შეუძლია წარმოშვას, რამდენიც 300 კილოგრამი წყალბადის დაწვას (კილოგრამი ათასი გრამია, ერთი გირვანქა, დაახლოებით, 400 გრამია).

სხივები სამგვარია: ალფა-სხივები, რომელთაც ნთქამს ქაღალდი, ბეტა-სხივები, რომელნიც ადვილად გადიან არა თუ ქაღალდში, არამედ თხელი ლითონის ფირფიტებშიაც კი და ფოტოქიმიურ პროცესებს (ქმნადობათ) წარმოშობენ, და გამა-სხივები, რომელნიც ანათებენ.

რეტგერფორდისა და სოდდის თეორიით რადის ატომი უწონასწოროა და მისი შემადგენელი ნაწილები, ელექტრონები, ანუ კორპუსკულები, მუდამ სწყდებიან მას და წარმოშობენ ხსენებულ მოვლენათ.

ბეტა-სხივები შესდგებიან ისეთი ელექტრონებისა, ანუ კორპუსკულებისაგან, რომელნიც სიმძიმით წყალბადის ატომის ერთს მეათასედს უდრიან, მზის სხივების სიჩქარით გარბიან და შეიცავენ ეგრეთწოდებულს უარობითს ელექტრონს. რაოდენობა ამ ელექტრონისა უდრის ქლორის ატომის ელექტრონს წყალხსნილში.

ალფა-სხივები შესდგებიან ისეთი ელექტრონების, ან კორპუსკულებისაგან, რომელნიც სიმძიმით წყალბადის ატომს ორჯერ აღემატებიან, საოცარი სისწრაფით გარბიან და დადებითს ელექტრონს შეიცავენ.

რაც შეეხება გამა-სხივებს, ისინი იშობებიან ბეტა სხივების შეხლისაგან და ჰგვანან ეგრეთწოდებულ X—სხივებს, რომელთაც ურანი წარმოშობს. ამ სხივებს შეუძლიათ გაიარონ შავი ქაღალდი, რომელშიაც სინათლე არ გაატანს, და იმოქმედონ ხსენებული ქაღალდის უკან ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე. ამ სხივების მეორე ნიშნობლივი თვისება კიდეც ის არის, რომ ჰაერი, სადაც ეს სხივები გარბიან, ადვილად გასავლელი შეიქნება ხოლმე ელექტრონისათვის. მაგალითად, ურანის რომელიმე შედგენილობის ერთი გრამის რამდენიმე მეათედი რომ 3—4 სენტიმეტრით მიუახლოვო ელექტრონით გატენილ ელექტროსკოპს, უკანასკნელი უცებ დაიცლება, ე. ი. განაგდებს, ანუ განაბნევს ჰაერში, ელექტრონს.

აქედან ცხადია, რატომ ანათებს რადი. მართლაც, თუ კი მისი კორპუსკულების სრბა სიჩქარით მზის სხივების სრბას უდრის, მათ ადვილად შეუძლიათ წარმოშვან სინათლე. და, როგორც სინათლე შობს სითბოს, აგრეთვე კორპუსკულების ენერგია იქცევა სითბოდ.

მეორე მხრით, ელექტრონისა და მზის სხივის ნათესაობა უკვე დამტკიცებულია.

ავიღოთ აგრეთვე სხვა მაგალითი. გავხსნათ უბრალო ხაშური მარილი წყალში. რამდენიმე რაოდენობა მარილის მოლეკულათა განაწილდება: გაჩნდებიან ქლორის ატომები და ნატრის ატომები და თვითეული ატომი ელექტრონით გაიტენება (ქლორი უარობითით და ნატრი დადებითით).

ეს უკვე გამოცდილია. მაშასადამე, მოლეკულათა ატომებად დანაწილება და ატომთა ელექტრონების შემცველობა დამტკიცებულია.

მაშასადამე, ქიმიასა და ფიზიკას შორის შუაზღუდეები უსაფუძვლოდ აღემართათ, ერთი მეცნიერების კანონები იმავე დროს მეორე მეცნიერების კანონებიც არიან და ერთ-ერთის გაგება მეორის უსაშუალოდ შეუძლებელია.

სინათლე, ელექტრონი და სითბო, მოლეკულა, ატომი და ქიმიური ენერგია ნათესავ მოვლენათ წარმოადგენენ.

რადის თვისებათა შესწავლამ, საზოგადოდ, მთელი ჩვენი მსოფლმხედველობა ძირიანად შესცვალა. დამტკიცდა. რომ ელემენტებს შორის გაუვალი შუაზღუდეები არ არის და ერთი ელემენტი—მეორე ელემენტად იქცევა.

მაგალითად, რადი 2.000 წლის განმავლობაში იქცევა ორთქლისებურ ნივთიერებად, ემანაციად, ანუ ნიტონად. რატომ? მიტომ, რომ რადის ატომს, რომლის შედარებითი წონაც უდრის 226,5-ს (წყალბადის ატომთან შედარებით) სწყდებიან ზემოხსენებული კორპუსკულები და, მაშასადამე, წონა ეკარგება. ამიტომ, ემანაცია წარმოადგენს იმავე რადის, რომლის ატომსაც კორპუსკულების ჩამოშორებით წონა მოკლებია (ემანაციის ატომის წონა=222,4). თავისი მხრით ემანაციის ატომსაც სწყდებიან კორპუსკულები და, რადგან ეს ქმნადობა უფრო ენერგიულად წარმოობს, ემანაციის ატომი ოთხ დღეში იქცევა A—რადის ატომად. იმავე მიზეზისა გამო A—რადის ატომი 3 წამში იქცევა B—რადის ატომად, B—რადის ატომი 26 წამში C—რადის ატომად. C—რადის ატომი 19 წამში D—რადის ატომად, D—რადის ატომი 40 წელს E—რადის ატომად, E—რადის ატომი ექვს დღეში F—რადის ატომად. F—რადის ატომი 45 დღის განმავლობაში ნაკლები წონის ატომად.

თვითონ რადის ატომი წარმოსდგება ურანის ატომისაგან—კორპუსკულების მოწყვეტისავე გამო (ურანის ატომის წონა=238,5).

იმავე დროს რამზაიმ და სოდდიმ აღმოაჩინეს, რომ რადის ემანაციისაგან მოწყვეტილი კორპუსკულები ერთად იკრიბებიან და ქმნიან ახალი ელემენტის, ჰელის, ატომს (უკანასკნელის შედარებითი წონა=4).

აღმოჩნდენ აგრეთვე სხვა ელემენტებიც, რომელნიც დროს განმავლობაში ჰკარგა-

ცნობით დასამტკიცებლად გაუგზავნიათ სამიწათ-მოქმედო სამინისტროში.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში სხვა და სხვა გადამდები სნეულებანიც იდგამს ფესვს. გუშინდელი ცნობით წითელათი მომკვდარა ერთი ებრაელი, პოლიციის ქუჩის შესახვევში.

✦ სასამართლომ რესტორან „იალტის“ პატრონ რუხაძეს, ერთი თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯა, აყროლებული ხორცით ვაჭრობისათვის ამავე სასამართლომ მელვინე ჰანტურიძეს 5 დღით ციხეში ჯდომა მიუსაჯა სასანიტრო მეთვალყურის შეურაცხყოფისათვის.

✦ 25 ოქტომბრამდი ქალაქში ხოლერით ავათ გახთომის შემთხვევა ყოფილა სულ 40. ამათგან მომკვდარა 26, მორჩენილა 10, ბარაკში იმყოფება 1, თავიანთ ბინაზეა დატოვებული. 3.

როგორც ს. ჯუმათიდან გადმოგვცემენ იქ დაუჭირავთ და ბოქაულისათვის გადაუციათ მკითხავი ებრაელი, რომელიც თურმე დადიოდა სოფლად და მკითხაობის გარდა ექიმობასაც ეწეოდა და სხვადასხვა საეჭვო წამლებსაც უკეთებდა ხალხს.

✦ 24 ოქტომბერს ქიმიური ლაბორატორიის გამგემ ადგილობრივი სარძევეები დაათვალიერა და აღმოაჩინა, რომ ბევრ მათგანში წყალ-ნარევი რძე ყოფილა, აგრეთვე აღმოჩნდა, რომ თურმე სარძევეების პატრონებს, რძისათვის სცოდნიათ ნაღების მორთმევა და შემდეგ მისგან მაწონის დამზადება, ასეთი არა საიმედო რძე აღმოაჩნდა შემდეგ პირებს: ესტატე ყუბანეიშვილს, პეტრე ჩოროლდვიანცს და სადიკოვს.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა ამიერიდან დაქირავებულ იქნას ორი კაცი, რომლების მოვალეობა იქნება ქალაქის ქუჩებზე მოხეტიალე ძაღლების და ღორების დაჭერა.

✦ როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვტყობილობთ პირველ იანვრიდან აპირებენ ქალაქზე ფასების კიდევ მომატებას.

✦ ამ ჟამათ ქალაქში შეშა ბევრი შემოდის სოფლებიდან გასაყიდათ. 25 ოქტომბერს ურემი ფასობდა ათი მანეთიდან 14 მანეთამდე.

✦ გუშინდელ გაზეთში შეცდომით გაგვეპარა ცნობა, ვითომც მიქატაძის ქალს ცეცხლი გასჩენოდეს და დამწვარიყოს, როგორც ირკვევა, ცეცხლი გასჩენია მაგრამ სიკვდილს გადაურჩენიათ.

### სოფლად.

✦ დაბა ზესტაფონში, შაბათს 22 ოქტომბერს, ადგილობრივმა ექიმმა დ. მაჭავარიანმა საზოგადო საკრებულოს დარბაზში წაიკითხა უფასო ლექცია ხოლერის შესახებ. ლექცია ფრიად შინაარსიანი და პრაქტიკული დარიგებებით სავსე გამოდგა ხალხი ბლომათ დაესწრო, კარგი იქნება სხვადასხვა ქალაქებშიაც ადგილობრივი მოწინავე პირები მოაწყობდენ ასეთ სასარგებლო ლექციებს.

---

ვენ თავისი ატომების წონას და, მაშასადამე, იცვლებიან (პოლონი, აქტინი, რადიოტელური რადიოტყვია და სხ. რომელთა შორის რადიო-ტყვია ალბად D—რადი უნდა იყოს და რადიო-ტელური F—რადი) ფიქრობენ, რომ ყველა ელემენტის ატომი იცვლება, მაგრამ უმეტეს ნაწილად ეს ცვლილება მეტად ხანგრძლივია და, მაშასადამე, ჩვენთვის შეუჩნეველია.

აღვნიშნოთ ამ თეორიის მამათავრები. 1896 წელს ბეკკერელმა პირველმა აღმოაჩინა, რომ ურანის შედგენილობანი სხივებს წარმოშობენ. რადი აღმოაჩინეს ქალბატონმა კიურიმ და მისმა ქმარმა (ქლორისა და ბრომის რადი). და რადის განცალკევებული ელემენტი მიიღეს ქალბატონმა კიურიმ და დებიერნმა 1910 წელს.

მეორე მხრით, უკვე ის, ბუნების მთელი მრავალფეროვნება რომ თითქმის 71 ელემენტამდის დაიყვანეს, უდიდეს გაზოგადებას მოასწავებს. იმავე დროს ელემენტების თვისებათა გამოყვანა მათი ატომების შედარებით წონათაგან. უეჭველია, მათს ნათესაობას ამტკიცებს. ეს აღმოჩენა ეკუთნისთ დებერეინერს (1829 წ). ნიულანდს (1863—1864 წ.) ლოტარ მეიერსა და მენდელეევს (1869 წ). მაგრამ, რადგან მენდელეევმა უკეთ დაასაბუთა, იმას მიაკუთნეს.

ვასილ წერეთელი.

(შემდეგი იქნება).

---

## ეგნატე ნინოშვილის საღამო

### ქ. ალექსანდროპოლში.

ადგილობრივ ქართვ. შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგ. განყოფილების გამგეობის მეთაურობით 2 ოქტომბერს ეგნატე ნინოშვილის ხსოვნის პატივსაცემი საღამო გაიმართა.

საღამო მწყობრათ და რიგიანათ ჩატარდა. დამსწრე „საზოგადოება“, მეტათ ჭრელი შედგენილობის გამოდგა, ეტყობოდა ნინოშვილს ნაკლებათ იცნობდა.

პირველათ, წაიკითხეს ლექცია ნინოშვილზე. ლექციაში მოკლეთ იყო აწერილი მრავალ-ტანჯული ეგნატეს ცხოვრება. გაშუქებული იყო ჩვენი სასიქადულო ბელეტრისტ-პუბლიცისტი პიროვნება.

ლექტორი შეეხო აგრეთვე ეგნატე ნინოშვილის მხატვრულ შემოქმედებას და ყველა მის მიერ შექმნილი ტიპების წარმოების მიზეზებს. ლექცია წაკითხულ იქმნა მწყობრათ და დალაგებით.

მეორე განყოფილებას შეადგენდა ეგნატე ნინოშვილის პატარა მოთხრობიდან „გოგია უიშვილიდან“ გადმოკეთებული ორ მოქმედებიანი პიესა „გოგია უიშვილი.“ გოგიას და მარინეს ტიპები კარგათ წარმოგვიდგინეს აქ მოწვეულმა მსახიობმა, დ. კობახიძემ და ვერა კალაძემ.

არ შემცდარა გამგეობა რომ ამ სეზონის წარმოდგენების რეჟისორათ დ. კობახიძე მიიწვია; მას ამისი ნიჭი და უნარი შესწევს და ღირსეულათ შეასრულებს, თუ, გამგეობა და სცენის მოყვარეები შეთანხმებულ ენერგიულ დახმარებას გაუწევენ მას.

მესამე განყოფილებაში სცენა მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა:

ვარსკვლავებით მოჭედილი კამარა ლურჯ ცის ქვეშ, სერის ძირას, შუა ალაგზე იჯდა ეგნატე, რომელსაც ირგვლივ შემოხვეოდენ თეთრ ტანისამოსებში გამოწყობილი ბავშვები გოგოები ყვავილებით ხელში და ეგნატეს აღტაცებით შეჰყურებდენ. ეგნატეს ზევით სერზე აქა იქ იდგენ ლექსების მკითხველები სხვადასხვა შესაფერ ტანისამოსებით და გრიმებით გამოწყობილნი და ეგნატეს აზრების და გრძნობების გამომხატველ ლექსებს რიგიანათ ამბობდენ. ეგნატეს მეტად გამხდარი ჩაფერფლილი მოგრძო სახე, მაღალი სპეტაკი შუბლი და მგზნებარე გამომეტყველი დიდრონი თვალები, ცოცხლათ გვაგონებდენ იმ ეგნატეს, რომლის ნათელი პიროვნება მომავლის გზას გვიშუქებს.

კარგათ წაიკითხა ნ. ჩხიკვაძის ლექსი გ ლვ. „მერანი“ ვერა კალაძემ ხოლო „საკია მუნი“ მერეჟკოვსკისა კ. ჯაფარიძის თარგმანი დ. კობახიძემ. დანარჩენებმაც მწყობრათ წაიკითხეს ლექსები და საერთო შთაბეჭდილებას ხელი შეუწყვეს.

დასასრულ დადგეს აპოთეოზი, რაც მოუწყობლობისა გამო კარგი ვერ გამოვიდა და რამაც საღამოსგან დატოვებულ მთლიან შთაბეჭდილებას ცოტა არ იყოს ჩრდილი მიაყენა.

სამწუხაროა, რომ საღამოს ინიციატორებს და ორიოდე ენერგიულად მომქმედე პირებს ხელი არ შეუწყვეს და საღამო ეგნატეს სახელის შესაფერათ ვერ მოაწყვეს.

ვიმედოვნებთ, რომ ისინი მომავალში მაინც საზოგადო საქმეს შესაფერი ერთსულოვნებით და ენერგიით ემსახურებიან.

ეულ. დ—ძე.

---

## უპურობა ქუთაისში

### და ჩვენი ქალაქის „მამების“ საქმიანობა.

ყველა ჩვენგანს კარგათ მოეხსენება რომ ამ უკანასკნელ დროს განმეორდა ქუთაისში ის, რისიც მოწმე არა ერთხელ ვყოფილვართ. ამ ორი წლის განმავლობაში აღარ იშოვნება საკმაო პური. და თუ კიდევ ცხვება ძლიერ ცუდი ხარისხის არის. რაც უნდამაგარი კუჭი ჰქონდეს ადამიანს არა ვგონებ რომ არ აუშალოს ისეც ამისთანა დროს, როდესაც ქალაქში ხოლერა მძვინვარებს.

ამისთანა განსაცდელი კარზედ მოგვდგომია და ჩვენ „მამებს“ კი სძინავთ საღათას ძილით. ყურსაც არ იბერტყავენ. ამ ორი თვის განმავლობაში ოთხჯერ იყო დანიშნული საბჭოს კრება, მაგრამ ხმოსნების საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო არც ერთხელ არ შესდგა. სახლში ჩამოუტარებიათ ხმოსნებისთვის სია და თითქმის ყველას ხელი უწერია. თქვე მამაცხონებულებო თუ გამოცხადება არ შეგეძლოთ ხელს რაღათ აწერდით. ყველამ კარგათ იცოდით როგორი საჭირბოროტო საკითხები ირჩეოდა. მაგალითად ქალაქის აქიმს მაჭავარიანს ვრცელი დასაბუთებული მოხსენება უნდა წაეკითხა ხოლერის შესახებ. უნდა გაგეგოთ აგრეთვე რომ ამ მოკლე ხანში სულ აღარ იქნება პური ქუთაისში და არც მოელიან არსაიდან. მაგრამ ჩვენმა მამებმა ხელი მოაწერეს და მით ვითომ თავის მოვალეობა შეასრულეს.

როგორც ზევით მოგახსენეთ 24 ოქტომბერს მეოთხეჯერ იყო დანიშნული კრება, მაგრამ ხუთი ხმოსნის გარდა არავინ გამოცხადებულა. ამ ხმოსნებს მოეყარათ ერთათ თავი ქალაქის საბჭოს დარბაზში და მასლაათობდენ. მათ შორის ქალაქის გამგეობის წევრიც ერია. სხვათა შორის სთქვეს რომ ამ მოკლე ხანში პური აღარ იქნება ქუთაისშიო. თურმე გამგეობას თავის წარმომადგენელი გაუგზავნია (გამგეობის წევრი) ბაქოში პურის ფქვილის საშოვნელათ, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნებულა. მიზეზი ის არის, რომ დიდი ქარხნები გაიფიცნენ და ხორბალს აღარ ფქვავენო. ამით უნდათ ისარგებლონ, რომ პურის ფქვილმა ფასი აიწიოს. ერთმა მათგანმა სთქვა, რომ მოშიაშვილი რომ გვყავდეს ის საიდანაც იქნება გააჩენსო. ამაზე ყველა დაემოწმა. ქალაქის გამგეობის წევრმა სთქვა მოშიაშვილს რომ არ ავმხედრებოდით, ეს არ დაგვემართებოდა, და ახლა ფქვილი საკმაოთ გვექნებოდაო. ამის მაგალითად ის მოიყვანა, რომ ამას წინათ თურმე ქალაქს თავის სახელზედ უნდოდა გამოეწერა ერთი „ნარიადი“ ორმოცი ვაგონი ფქვილი, მაგრამ ამის ნება არ მისცა სასურსათო საქმის მთავარ მართველმა. ეს რომ გაიგონა მოშიაშვილმა დაიჩემა „მე კაცი არ ვყოფილვარ თუ არ ჩამოვიტანო ის თქვენი ჩამოსატანი ფქვილიო“. წასვლა და მოხერხება ერთი იყო და სადაც იყო იქ მოიმასქნა“ და კიდევაც ჩამოიტანა. თურმე დღესაც შესაძლებელი ყოფილა თუ კი მოინდომა მან. ჩვენ მეტი რაღა დაგვრჩენია, რომ ისევ მივმართოთ მოშიაშვილს იდვას თავზე, როგორც მოხერხებულმა და ამ საქმეში გამოცდილმა კაცმა. რაც შეეხება ქალაქის გამგეობას კი ყველაფრით ხელი შეუწყოს რითაც შეიძლებს. სცხვენოდეს იმ ხმოსნებს რომელთაც ჩაბარებული აქვთ ქალაქის და ხალხის საქმე და ისინი ასე გულგრილათ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას.

ანგთგნიტო ნოიფარეს.

---

## მახსოვს სხივი...

მახსოვს სხივი განთიადის ჩვენს ცაზე რომ ელვარებდა;
მახსოვს ხალხი საიმედოთ ბობოქრობდა, მღელვარებდა;
ტანჯულთ ცრემლი ეშრობოდა და მტარვალი ჰგლოვდა, სწუხდა;
ზღვა ღელავდა, სამყაროზე ბრძოლის ხმები სჭექდა, ჰქუხდა.
მაგრამ სხივი მსწრაფლ ჩააქრო ჩაგრულთ ცაზე ღრუბელთ გუნდმა,
და... მიწა კვლავ აკვნესა ღამის სუნთქვამ, ღამის ხუნდმა...

—:—

ცა ატირდა, მიწის მკერდზე დაემყარა ისევ ბნელი;
სიცოცხლესა აღარ ინდობს გლახ სიკვდილის შავი ცელი;
ყოველ მხრიდან ყურს მოესმის უნუგეშო გლოვის ზარი
და თვალებზე მწუხარების მდის, მდის მწარე ცრემლის ღვარი...
სხივ ჩაფერფლილ უიმედო სულის კვნესა არვის ესმის,
ჩანგი სევდით დათალხულა, სიმი მოსთქვამს, სიმი კვნესის!...

ა. ოდიშელი.

---

## † თევდორე დავითის ძე ჟორდანია.

### ნეკროლოგი.

დეპეშამ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: ს. კასპში უეცრად გადაცვლილა მხცოვანი ისტორიკოსი თევდორე დავითის ძე ჟორდანია. გარდაცვალებული ერთი საუკეთესო ქართველთაგანი იყო; სულით და გულით უყვარდა მშობელი ერი და თავისი დაუღალავი და ნიჭიერი შრომებით ძვირფასი განძი შესძინა ქართული კულტურის ისტორიას. ცენზით—აკადემიკოსი თევდორე იმ თავითვე მსახურებდა სასულიერო უწყების სხვადასხვა სფეროში: სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველათ, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად და ბოლოს საეკლესიო სკოლების მეთვალყურეთ. ბედმა არგუნა მას ისეთ სფეროში სამსახური, სადაც ადამიანის ნიჭს და ცოდნას არც დაფასება აქვს და არც პატივისცემა, მაგრამ განსვენებულმა იშვიათის მოთმინებით აიტანა ყოველგვარი დამცირება და შესძლო სიმართლის სხივის შეტყორცნა ბნელ და ძნელ კუთხეში. იმ აუტანელ შრომასთან, რომელსაც მისი თანამდებობა მოითხოვდა მისგან, განსვენებული კიდევ პოულობდა დროს საზოგადო მოღვაწეობისათვის. თავის სამშობლო ისტორიის კარგმა მცოდნემ, მან მრავალგვარი საისტორიო და საარქეოლოგიო გამოკვლევები—უძღვნი ქართველობას და თავისი ღვაწლით მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ისტორიის ახალ მიმართულებას. მისი „ქრონიკები“—დიდხანს იქნება ჩვენ მეისტორიეთა შესწავლის საგნათ და ისტორიულ გამოკვლევათა საუკეთესო სახელმძღვანელოთ. გარდა ამისა განსვენებული ღრმა მცოდნე იყო ქართული ენისა და თავის საგრამატიკო ნაშრომით ფრიად დიდი ღვაწლი დასდვა ქართული ენის დამუშავებას და სისრულეს. თევდორე ცხოვრებაში მტკიცე და შეურყეველი რწმენის მატარებელი კაცი იყო და მისმა ბუნებამ არ იცოდა აზრის და რწმენის რყევა და გამოცვლა. თავის აზრს ერთხელ გამოთქმულს, ისეთი სიმტკიცით და შეუდრეკელობით იცავდა, რომ ხშირათ ის აზრის ფანატიკოსათ გეჩვენებოდა სწორეთ ამით უნდა აიხსნეს ის მტრული განწყობილება, რომელიც არსებობდა ჩვენი თვალსაჩინო ქართველ მოღვაწეთა განსვენებულისადმი და რომლის მეოხებითაც ის მოღალატეთაც კი გამოყავდათ. მაგრამ თუ გაგვეგონებათ, რომ თევდორე არავის თავს არ უკრავდა, არავის „ლოცვა-კურთხევას“—საზოგადო მოღვაწეობაში არ სთხოვდა არავის არ ეტმასნებოდა და არ აწონებდა თავს, წინააღმდეგ თავის გზას და რწმენას შეურყევლად და გადაუხვევლათ ემსახურებოდა, მაშინ ადვილათ ასახსნელიცაა—რატომ ღებულობდა აუარებელ დაუმსახურებელ შეურაცხყოფას განსვენებული. არა ერთი და ორი თაობა აღზრდილა მის გონიერ ხელმძღვანელობის ქვეშ და ესენი კარგათ იცნობდენ თავის ხელმძღვანელ-და მასწავლებელს.

მომავალი ისტორია ცხადათ გამოაჩენს განსვენებულის დიად ღვაწლს სამშობლოს წინაშე და სპეტაკ სახეს მის მოძულეთა და მგინებელთა წინაშე. საუკუნო იყოს ხსენება საქართველოს ერთგული და მოსიყვარულე შვილისა და მის მოღვაწეთაგან ხშირად სრულიად უსამართლოდ შეურაცხყოფილს თევდორე დავითის ძისა. აწი მაინც შეფერის მის სამშობლოს ღირსეულათ დააფასოს მიძი ღირსეული მოამაგეა.

ს. დ.

---

## მხეცი ქმარი.

გულ შემზარავი სცენის მოწმე გავხდით მე და ჩემი თანამგზავრები 19 ოქტომბერს.

ღამის რვა საათი იყო, რომ ბაღის ქუჩაზე მიმავალთ, კარებსა და დარაბებ ჩაკეტილ ოთახიდგან ქალის გულშემზარავი კივილი შემოგვესმა. მივადარაჯეთ და დარაბების ჰუჰუტანიდან დავინახეთ, რომ კაცს წაექცია ქალი და უწყალოდ სცემდა. რა თქმა უნდა, ასეთი მხეცური საქციელი ვერ მოვითმინეთ და კარებზე დაუბრახუნეთ, კარები რო გაიღო დავინახეთ რომ ქალისთვის ისე მაგრათ დაერტყმია თავში, რომ საცოდავს ტკივილისგან გული მისდიოდა. ჩვენს შეკითხვაზე, კაცმა დიდგულათ გვიპასუხა: „თქვენი რა საქმეა, მე ჩემს ცოლს ვცემოო“ და კარები ჩაიკეტა. ჩვენ დიახანს ვიდექით კარებთან და ვუცდიდით, თუ ცემას განაგრძობდა პოლიციელისთვის დაგვებარებინა ვგონებ მხეცმა კაცმა იგრძნო ჩვენი იქ ყოფა და ცემა ლანძღვათ შესცვალა. ქალის კივილს ზედაური მეზობლები კარგად გაიგონებდენ და ასეთი სცენა უსათუოდ ხშირია ამ ოჯახში, მაგრამ კაცი ყურს არ იბერტყავს, რადგან ქმარი და საუბედუროთ, მდაბიო ხალხში ჯერ კიდევ შეხედულებას აქვს ფეხი მოკიდებული: „ქმარი რო ცოლს სცემს, არავის უფლება არა აქვს მათს საქმეში შეერიოსო“. საკვირველია: ქალი მუდამ წელ გაუმართავათ შრომობს, ქმარს კი უმეტეს ნაწილს გალეშილს ვხედამ: კიდევ უფლებას აძლევენ ცოლსა სცემოს. ვინ იცის რამდენი ქალი იტანჯებიან ასეთი მხეცი ქმრების ხელში, მაგრამ ვინ არის პატრონი? ჩვენი ინტილიგენტი ქალები საღათას ძილს შეუპყრია და ქალთა საზოგადოება კი პარტიულ კინკლაობის დროს იჩენს ძალას იმის ნაცვლად, რომ საერთო ძალა ჰოიხვეჭონ და ასეთ ტანჯულ ქალებს რამე ნუგეში სცენ.

მჭრელაძე.

---

## ქართული ენის ბედი

### ხონის გიმნაზიაში.

თითქმის ორი კვირაა, რაც მთელი ქართული გაზეთები ხანგამოშვებით ერთსა და იმავეს იმეორებენ: ხონის ვაჟთა გიმნაზიაში ქართული ენის გაკვეთილები სამხედრო ვარჯიშობას დაუთმესო“. ვკითხულობ ამას და მის სინამდვილეს კი ვერ შევრიგებივარ. ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს დასაჯერებელია! ნუ თუ ქართული ენის, ისედაც მცირეოდენი გაკვეთილები უკუაგდეს და ისიც ხონის გიმნაზიაში, რომლის, როგორც მასწავლებელთა ისე მოწაფეთა რიცხვს თითქმის სულ ქართველები შეადგენენ? მიკვირს ღმერთმანი რა საჭიროება ჰქონდათ ისეთი, როგორც ამ გიმნაზიის მთავრობას ისე მათ მოწაფეებს რომ სამშობლო ენის გაკვეთილები, რომელიც უძვირფასესი და უტკბესი უნდა იყოს ყოველი მოსწავლისათვის სამხედრო ვარჯიშობას დაუთმეს. რატომ სხვა საგნის გაკვეთილები არ დაუთმეს მას? ნუთუ ქართულმა ენამ იმდენათ დაკარგა მნიშვნელობა, რომ ყველა საგანზე ნაკლებ როლს თამაშობს ქართველი ახალგაზრდობის გონების აღზრდა განვითარებაში? ალბათ ამიტომ თუ მოსპეს ამ გიმნაზიაში ქართული ენა, ეს საერთო დანაშაულია, როგორც ამ გიმნაზიის მასწავლებელთა ჯგუფსა, ისე მათი მოწაფეებისა. ამის შემდეგ კი თამამათ შეგვიძლია ვუთხრათ მათ; „თქვენ ქართველი დედის ძუძუი, ზხამათაც შეგრგებიათ“ ქო. ნუ თუ არ იციან ამ გიმნაზიის მასწავლებლებმა მაინც, რომ ამ დაუფიქრებელი ნაბიჯით დიდ ვნებას მოუტანენ ისინი ისედაც შეფერხებულ ქართული ენის საქმეს.

დროა ძმებო თვალები გაახილოთ და თქვენი შეცთომა გაასწოროთ. იქამდი როგორ უნდა დაეცეს ჩვენში ჩვენი ერის წარსულისადმი სიყვარული და ეროვნული შეგნება, რომ ჩვენი სამშობლო ენის გაკვეთილები უარვყოთ. უმჯობესია სამხედრო ვარჯიშობას,“ თუ ეს აუცილებელია ის დრო დაუთმოთ, რომელსაც მეტი წილი ჩვენი მოსწავლეებისა უსაქმო სეირნობასა და ქუჩებში ხეტიალს ვანდომებთ.

დროა ძმანო ვიდრე ჯერ კიდევ დრო გაქვთ, საქმეს სერიოზულათ შეხედოთ და ეს თქვენი დანაშაული ძირშივე მოსპოთ.

გ. ბატარაძე

---

## ვებრძოლოთ ლოთობის წინააღმდეგ.

საქართველო თავიდანვე ღვინის ქვეყანა იყო. ქართველი კაცის სუფრას უღვინოთ ლაზათი არა ჰქონდა. ძველ დროში ჩვენი წინაპრები ხშირად თითო კვირაობით ლხინობდენ. ქართული ქორწილი, ნადიმი და სხვა უბრალო სტუმრიანობა საარაკო რამ იყო ჩვენმა ძველებმა

ლხინობა თუ იცოდნენ, მისი სამძღვრის დადებაც კარგათ ესმოდათ, იშვიათი იყო იმისთანა შემთხვევა, რომ ძველებური ქართული ლხინი ჩხუბითა და დავითარაბით გათავებულიყო და კაცის კვლასა და დაჭრა დასახიჩრებაზე, ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

ეს ერთი საუკუნეა, რაც რომ ქართველი კაცის ცხოვრებაში ლხინიც შეირყა და ჭირიც. უწინ თუ ჩვენ სხვას დავსცინოდით უწმაწურ ლხინსა, ლოთობასა და კაცის კვლასა ეხლა ეს ბიწიერება პირდაპირ ჩვენშია დასადგურებული.

ორი ქართველი კაცი ვერ დამჯდარა ერთად პურის საჭმელად, რომ ერთმანეთში აყალ-მაყალი არ მოუვიდესთ. უწინდელი დრო გამოშვებითი ქართული დარბაისული, სულისა და გულის, დამატკბობელი ოჯახური ლხინი უწმაწურ ყოველ დღიურ დუქნურ კამპანიაზე შეიცვალა.

დღეს რომ ოჯახის თავი უკანასკნელი გროშებით, ღვინისაგან გაჟღენთილი, დუქანში, და ან სადმე შარა გზაზე აგდია, ამ დროს მისი წვრილი ცოლშვილი სახლში ტიტველ-შიშველნი და მშიერი სხედან. იმისთანა მახინჯებიც ბევრი ურევია დღეს ქართველ მდაბიო ხალხში, რომ ცოლშვილისაგან ბაზარში გასასყიდლად გამოტანებული სანოვაგეს, გაყიდვის შემდეგ, ბაზარშივე სჭამს და სახლში ხელცარიელი მიდის. ჩვენდა საუბედუროთ არც რაინდები გვაკლია, რომლებიც სისტემატიურად ლოთობენ და თავის თავსაც ღუპავენ და სხვასაც რყვნიან. არა ერთი და ორი ქართველი ახალგაზრდა არის ლოთობის უკურნებელი სენისაგან შეპყრობილი, რომლებიც დღეს ზედ მეტ ბარგად აწევს ჩვენ საზოგადოებას. ლოთობას, ვიმეორებ, რუსებს ვძრახავდით და ეხლა ეს სენი ჩვენშია მოდებული. „ვაზის ჭირიმე ვაზისა, უფლისგან კურთხეულისა, წითელი ღვინის დედაა, გამხარებელი გულისა“. ნუ თუ ეს ლექსი მისთვის არის შექმნილი, რომ ღვინის წვენი საწამლავად გამოვიყენოთ? ჩვენი მდაბიო ხალხი ვერც უკანასკნელი წლების სიძვირემ შეაშინა. მანეთს იხდიან ბოთლ ღვინოში და მაინც შიგ იხრჩობიან.

რამდენი სამწუხარო მაგალითის დასახელება შეუძლია დაკვირებულ ქართველს. მედგარი ბრძოლაა ამ ჩვენი ერის გამანადგურებელ მოვლენასთან საჭირო უნდა ვიბრძოლოთ სკოლებისა, ეკლესიებისა, ბიბლიოთეკა სამკითხველოებისა და სახალხო ლექციების საშვალებით. ლოთობის საწინაალმდეგო პატარ პატარა ბროშურებიც დიდ სარგებლობას მოუტანს ამ მხრით ჩვენს გადაგვარებულ ქართველობას. კარგი იქნები ქართველი ექიმები იდებდენ თავზე ასეთი ბროშურების შედგენას და მღვდლები და მასწავლებლები კი მათ გავრცელებას.

მ. ბუაჩიძე.

## პროვინციის ცხოვრება.

**ოზურგეთი** როდესაც დღიურ გამოცემების ფურცლებზე წავიკითხავ ხოლმე დღევანდელ ქალთა საზოგადოების პროგრესისაკენ საერთო ლტოლვილებას, გული სიამით მევსება, და ჩემს სიხარულს თითქმის საზღვარი არა აქვს. რატომ? აი რატომ: იქ მოგვითხრობენ, რომ ქალთა საზოგადოება უკვე გამოვიდა საზოგადოებრივ სარბიელზე, მათ უკვე დიდი ხანია დაგმეს კარჩაკეტილი ცხოვრება, გაუწოდეს ამხანაგური ხელი მამაკაცებს და აი მიილტვიან იქითკენ, რაც კარგ მომავალს უქადის კაცობრიობას. მაშ ქალი უკვე თავისუფალია?! ქალი საზოგადო მოღვაწეა ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, მის ხელში მთლად მოთავსებულია მომავალის ბედიღბალი მეტადრე ისეთ დროს, როგორიც კაცობრიობის სიხარბემ და გაუმაძღრობამ ეხლა გვაკუთვნა.—

მაშ დღევანდელი ქალი კარგი მომავლის იმედებია... დეე ეს აგრე იყოს.. მხოლოდ ერთი რამ: ვერ შევრიგებულვარ იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომელთაც აქაური ქალთა საზოგადოება შეუბოჭავს... უცხობი უთუოდ გაკვირდება და სიხარულით აივსება, როდესაც აქაურ ქალთა შორის ლაპარაკი ექნება. მათის ლაპარაკიდან გაიგებთ, რომ თუ სადმე ქალთა საზოგადოებაში პროგრესს კი უჩენია თავი, აი ეგ აქ-ამათში,— რადგან ბრტყელი სიტყვები აქაურ ქალთა თქვენ აზროვნებას ერთდროულად სავსებით ხიბლავს.—მაგრამ სინამდვილეში კი სრული კონსტრასტია.. გადავავლოთ თვალი და მაშინ, კი სავსებით დავრწმუნდებით მასში, რომ აქაური ქალები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ უბრალო დროს ტარებას, რომ მათში სრულიად გამქრალა ის აზრი, რომ ისინიც ზნეობრივად და იურიდიულადაც ვალდებულნი არიან მამაკაცებს გვერდში ამოუდგენ და საერთო ჰაპანს ეწეოდენ.—

მაგრამ, ვიმეორებ, ამათ ასეთი სერიოზული რამ სრულიადაც არ აწუხებს. წარმოიდგინეთ ასეთი საქმე აქაურ ვითომ და ქალთა საზოგადოების მეთაურებმა კითხვა აღძრეს სათანადო მთავრობის წინაშე ქალთა წრის დაარსების შესახებ. ეს კიდევ გასულ წელში იყო; მხოლოდ სმენია ყურთა ჩემთა ეგ ამბავი, თორემ მას მერმედ კრინტიც არ დაუძრავთ არც ერთს მადგანს—მაშ რა იქნა მაშინდელი გადაჭარბებული სურვილი ქალთა წრის დაარსებისა? უთუოდ დრომ წაიღო და ჩაყლაპა. მისი ადგილი კი დაიკავა „მაკომფრაპ-პრეფერანსმა,“ რომელსაც თითქმის ყველა ოჯახში შეხვდებით.

ავიღოთ სხვა რომელიმე კულტურული დაწესებულება, თუნდ სამკითხველო, სადაც, ჩემის აზრით, გამგეობაში, როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცებიც უნდა მონაწილეობდენ; მაგრამ უბედურებაც ეგ არის, რომ სამკითხველოს გამგეობაში ასარჩევად ქალს ვერ იშოვით. რატომ? უთუოდ ან სირცხვილად მიაჩნიათ, ან ეზარებათ.— აბა სხვა დაწესებულებაში ხომ ხსენებაც არ შეიძლება... დიახ,. აქაური ქალბატონები მთლად სინაზეთ გადაიქცენ. ნუ გამიკადნიერდებიან და საქმე ის კი არ არის, რომ მუდამ პუდრაში ითხუპნებოდენ.—არა—საქმე კარგ მომავლის ფიქრია და არც მარტო ფიქრი, მხოლოდ ენერგიული ვარჯიშობა მშვენიერი ფიქრების ასასრულებლად.—სასურველია აქედანვე მოუმზადოთ კარგი ნიადაგი მომავალს, რომ კარგი ნაყოფი გამოიღოს, რადგან მუდამ უნდა გვახსოვდეს „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“...

ღია.

## რუსეთი.

მომავალ კვირაში შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგე პროტოპოპოვი რედაქტორების ყრილობას იწვევს. ყრილობამ უნდა შეიმუშავოს მინისტრთან ერთად ბეჭვდით სიტყვის ახალი პროექტი. ეს პროექტი შემდეგ სათათბიროში იქნება შეტანილი განსახილველად.

——

სწავლა განათლების სამინისტროს საყოველთაო სწავლის პროექტი შეაქვს სახელმწიფო სათათბიროში. ამ პროექტის მიხედვით პირველ დაწყებითი შკოლები ადგილობრივმა თვითმართველობის ორგანოებმა უნდა დაარსონ. სამრევლო სკოლების გახსნისათვის განსაკუთრებული პირობები იქნება საჭირო. შკოლის ტიპის არჩევის უფლება თვით საზოგადოებას ენიჭება. სწავლა ამ სკოლებში ქალაქში 180 დღე გაგრძელდება წელიწადში, ხოლო სოფელში 160 დღე, 4 წლის განმავლობაში სწავლა სრულიად უფასო იქნება.

——

სარატოვიდან ატყობინებენ „რუსკოე სლოვოს“, მიუხედავათ იმისა, რომ სოფლის გზები განწმენდილია ხორბალი მაინც არ შემოდისო. სარატოვში ოთხი დიდი წისქვილი დღიდან დღეზე დაკეტვის გზას ადგიაო.

——

იმავე გაზეთს ადესიდან სწერენ: ქალაქი უშეშოთ არის დარჩენილიო. ბინების უმეტესი ნაწილი გაუმთბარია, რადგან ცეცხლის ანთების საშვალება არა აქვთო. ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ მან ზომები მიიღო და ბესარაბიაში შეშა ჰქონდა ნაყიდი, მაგრამ ფასის დაკლების მიზნით არ გამოუშვეს ადგილიდან—.

——

იმავე გაზეთის სიტყვით აქციზის შემოღების შემდეგ ღვინის გაყიდვა ოდესის ში ერთბაშათ შემცირდა. ის საწყობები, რომელნიც დღეში 800—1000 ბოთლს ყიდიდენ, დღეს 100—150—საც ვერ ყიდიან.

——

„რუსკოე სლოვოში“ აღნიშნულია, რომ გადასახადების უფროსმა ხრიპუნოვმა მინისტრს ბარკს წარუდგინა ელექტრონის ძალზე გადასახადის შემოღების კანონ პროექტი. კანონპროექტი მოწონებულია და გახსნისთანავე სახელმწიფო დუმაში იქნება შეტანილი.

## უცხოეთი.

გერმანიის საიმპერიო კანცლერს იმპერატორი ვილჰელმი უნახულია; ამბობენ კაიზერმა და კანცლერმა პოლონეთის ბედი გადასწყვიტესო.

——

ავსტრიაში ამ დღეებში იმპერატორის დეკრეტი გამოუციათ, რომლის ძალითაც მთელ იმპერიაში ერთად ერთ ოფიციალურ სავალდებულო ენად გერმანულია გამოცხადებული.

——

გერმანიასა და ნორვეგიას შორის მშვიდობიანი დამოკიდებულება განახლდა.

——

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის არჩევნები 7 ნოემბრისათვის არის დანიშნული და რამდენიც ეს დღე ახლოვდება, იმდენათ გერმანოფილები პროპაგანდას აძლიერებენ.

——

გარეშე საქმეთა სამინისტროში დეპეშით ცნობა მოსულა, რომ არაბეთი სრულებით გამოეყო ოსმალეთს. მცხოვრებთა ყველა კლასს თავიანთი წარმომადგენელი ამოურჩევიათ და ამ უკანასკნელთ მექის დიდ შერიფათ, რომელიც განთავისუფლებული არაბეთის შერიფათ არის აღვიარებული, გუსეინ-ბენ ალი აურჩევიათ. თავის მხრით გუსეინ-ბენ ალის მინისტრები დაუნიშნავს. როგორც გაზეთი „რუსკია მედომოსტი“ მოგვითხრობს ამ გვარი დიდი მოძრაობა არაბეთში ახალგაზდა თათრების პარტიის შევიწროებას გამოუწვევია. შეთანხმების სახელმწიფონი ამ ფაქტს სიამოვნებით შეხვდენ.

——

„რუს. სლოვო“ გადმოქვცემს, რომ საბერძნეთში სამხედრო მინისტრის დრაკოსის ბძანებაა გამოქვეყნებული მინისტრი აცხადებს რომ ყველა ოფიცერი, რომელიც ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობას ღებულობდა დათხოვნილია სამხედრო სამსახურიდანაო.

——

„ბირჟევია ვედომოსტს“ ატყობინებენ, რომ მონგოლეთს თავადი ბაბუჯაბა, რომელმაც სამი თვის წინათ მონგოლეთში ჩინეთის წინაღმდეგ აჯანყება ატეხა ჩინეთის რეგულიარულ ჯარს კი არ მოუკლავს, არამედ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ თვით აჯანყებულებმა მოკლესო.

## ღია წერილი.

### იმერეთის სამღვდელოებისადმი

გასჭრა იმერეთის სამღვდელოების დაჟინებითმა თხოვნებმა, რომელსაც, მხარი დაუჭირა მიტროპოლიტმა პიტირიმმა, და გვეღირსა ქუთაისის სემინარიის აღდგენა. რომ ეს ყველა ქართველისათვის სასიხარულოა, ეს თავის თავად ცხადია, და ჩვენ ქუთაისის გუბერნიის სემინარიელთ, რომლებიც ძალა უნებურად თბილისის სემინარიაში ვიყავით შეხიზნული, ხელი ცაში აგვიწვდა, რადგან აწი მაინც ახლოს ვიქნებით წვენ სამშობლო კერასთან, მშობლებთან და ხარჯზედაც თოლად გამოვალთ თქვა, ახლად სასულიერო სასწავლებლებში კურს დასრულებულნი ხომ მთლად მადლა მადლა დაჰფრენდენ...

როდესაც სინოდმა გადასწყვიტა ქუთაისში სემინარია გახსნილიყო, მაშინვე დაფოთურდენ ჩვენი სამღვდელოების წევრნი და სამზადისს შეუდგნენ... სემინარია უნდა გახსნილიყო პირველ შეძლებისთანავე.

წელს, აგვისტოში, ტფილისში სასინოდო კანტორის მესვეურებმა გადასწყვიტეს, რომ ქუთაისის სემინარიის გახსნა, ვინაიდგან არც სათანადო შენობა მოიპოვება, არც თანხა და არც საჭირო მასწავლებელნი, ერთი წლით გადადებულიყო.

ეს ასე არ მოხდა. თუ რა კერძო მიწერმოწერა სწარმოებდა ამაზე ტფილისი—ქუთაისს შორის ჩვენ არ ვიცით. მხოლოდ იმერეთის სამღვდელოების მაგიერ პრესის საშვალებით პასუხი გასცა ამ დადგენილებას ბ. მ. ფარცხნაძელმა, რომელიც მგონი შორს არ უნდა იდგეს ამ სამღვდელოებისაგან. გაზ. „საქართველო“ ფურცლებზე ბ. მ. ფარცხნაძელი გადაჭრით მოითხოვდა, რომ სემინარია წელსვე გახსნილიყო, რადგან შენობა სასწავლებლის შენობაში შეკეთ — გაამშვენიერესო, თანხაც ადგილათ ვიშოვით და მასწავლებლებსაცაო. სასინოდო კანტორის მესვეურთა დადგენილება შეიცვალა და 5 სექტემბერს ტფილისის სემინარიის ქუთაისის გუბერნიიდან წამოსულთ მოწაფეთ გამოგვიცხადეს: ეხლანდელ არა ჩვეულებრივ სიძვირისა გამო და იმერეთის სამღვდელოების დაჟინებულ თხოვნის მიხედვით, პირველი სამი კლასის თითო განყოფილება იქ უნდა გადაგიყვანოთო.

ამ გადმოყვანილთა რიცხვში, რასაკვირველია, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოელნი მოვხვდით და თუმცა ჩვენ შორის იყვნენ ისეთები, რომლებისთვისაც უფრო ხელსაყრელი იყო ტფილისში დარჩენა და დიდი სურვილიც ჰქონდათ ამისი, მაგრამ მოგვესენებათ, რომ „ძალა აღმართს ხნავს“.

ტფილისის სემინარიის ადმინისტრაციამ არც აცხელა, არც აცივა, აიღო და დაგვიწერა წამოსასვლელი მოწმობები,

სხვათა შორის იმ „ბილეთებში“ სწერია: „данъ сей билетъ для немедленнаго представленія начальству училища по пріѣздѣ въ Кутаисъ“. ჩვენ კი, აგერ თვე ნახევარია ვსთელავთ ქუთაისის ქუჩებს და „ბილეთების“ ჯავრი და მასთან ჩვენიც არავის აქვს.

ვეჯაჯგურებით სასწავლებლის და უფროსების კარებს, მაგრამ ყველგან ერთი პასუხია: „подождите до особаго распряженія“-ო. იმას კი არ აქცევენ ყურადღებას, რომ ასეთ ძვირფას დროს ტყულა უბრალოდ ვკარგავთ და სემინარიის გახსნა კი განუსაზღვრელ დროისთვის გადაგვიდვეს, რადგან თურმე არც თანხა მოიპოვება და არც მასწავლებელნი არიან. და შენობა კი სადღაც სასულიერო სასწავლებლის „პადვალში“ გამოუძებნიათ,

მაშ რაღას გაჰყვიროდით: ყველაფერი მზადაა?!

ესაა თქვენი თავდარიგიანობა ჩვენო სულიერო მამანო?!

ნუ თუ თქვენ არ გაფიქრებთ, რომ თქვენი სულიერი შვილები ტყუილ უბრალოდ სცდებიან და ეს, თქვენი თხოვნის ნაყოფი, განა არ მოგვაგონებს ხალხის ბრძნულ თქმულებას: „რაც მოგივა დავითა, ყველა შენი თავითა“-ო?!

ახლა მოგმართავთ თქვენ მამანო, „უსემინარიო“ სემინარიელები, როგორც ერთმა ენა მახვილმა პირმა გვიწოდა, თუ რა მიზეზია, რომ უმიზნოთ დროს გვაკარგვინებთ?

ისიც შეგვატყობინეთ, ჩვენ ქუთაისის სემინარიის მოწაფენი ვართ. თუ თბილისისა?

გვიპასუხეთ გადაჭრით, თუ მეცადინეობა როდის დაიწყება, რათა ქუთაისის ქუჩების უმიზნო ტკეპნას თავი გავანებოთ და იმ დროს, როდესაც ყველაფერი საარაკოთ გაძვირებულია, როდესაც ქუთაისში ხოლერა მძვინვარებს, ჩვენ ქუთაისი დავსტოვოთ მეცადინეობის დაწყებამდის და მივხედოთ ჩვენს გაჭირვებულ მშობლებს ამ მუშა ხელის ნაკლებობის დროს.

მოველით ახლო მომავალში თქვენ გადაჭრით პასუხს: ან აქ დაიწყოს მეცადინეობა და ანუ თბილისისაკენ გაგვისტუმრეთ, დავუმთვლით თქვენ სულიერო მამანო, თქვენვე წყალობით.

„უსემინარიო“ სემინარიელნი.

P. S. თუმცა ჩვენ [illegible] ჯერ ერთხელ მივმართეთ ბევრჯერ ამ ჩვენი პრესის საშუალებით მეკითხვა, მაგრამ რაღა უნდა გვექნა, როდესაც თვე ნახევრის ლოდინის შემდეგ ვერავითარი პასუხი ვერ მივიღეთ, და ჩვენ რომელთაც მიზნათ დავისახავს სწავლა განათლების მიღება, ვერ მოგვითმენია ამ სასწავლო დროის უმიზნოთ დაკარგვა. ამისთვის იძულებული გავხდით პრესის საშუალებით მოგვემართა.

„უსემინარიო“ სემინარიელნი.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**




**რკინის გზის მიმოსვლა.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 „ |
| | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | —11 ს. — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 18 „ |

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** ურის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, თეილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

**პვი სენი.**

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშიის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)



მსწრაფლმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან